საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/88 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ნ. ჯოხაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არის მოსამართლის 13 საშტატო ერთეული. დღეისათვის კი უფლებამოსილებას 7 მოსამართლე ახორციელებს. მოსამართლეთა ეს შემადგენლობა არის სასამართლოში 2019 წლის ივნისიდან, რამაც გამოიწვია სასამართლოში მოსამართლის მივლინების აუცილებლობა. ამ მიზნით, 2019 წლის 20 ივნისის №1/124 გადაწყვეტილებით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ნანა ჯოხაძე მივლინებულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 1 წლით. ვინაიდან, არ აღმოფხვრილა ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებები და დღეისათვის ქუთაისის საქალაქო სასამართლო რჩება საერთო სასამართლოების სისტემაში ერთ-ერთ დატვირთულ სასამართლოდ, მიზანშეწონილია ნანა ჯოხაძეს გაუგრძელდეს მივლინება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რის თაობაზეც მიღებულია მოსამართლის თანხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ნანა ჯოხაძის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მივლინების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 26 ივნისიდან 2021 წლის 26 ივნისამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი